



ლიანა ბაშელეიშვილი /მოსკოვი, ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი/

ქართული ზმნის გვარის სწავლებისათვის (რუსული დისკურსი)

ქართული ზმნის გვარის სწავლება რუსულენოვანი აუდიტორიისათვის ერთ-ერთი ყველაზე ძნელად დასაძლევია ამოცანაა, რადგან რუსულ ენაზე ქართული ზმნის აქტუალიზაციას ხშირად მოჰყვება შეკითხვათა კასკადი: მაგ. რატომ არის ზმნა “ელოდება“ (ის მას) (/) ან “ეხმარება“ (ის მას) () ქართულ ენაში ვნებითი გვარის ზმნები? სად არის მოცემულ შემთხვევაში, “ვნების“ პროცესი ან შედეგი? შეკითხვები, რა თქმა უნდა, არ ჩნდება მხოლოდ ვნებით გვართან დაკავშირებით, არც მოქმედებითი გვარის და საშუალო გვარის ზმნებია გამონაკლისი ამ თვალსაზრისით.

შეიძლება საკითხის ამგვარად დასმაც: ჩვენ ხომ ქართული ზმნის გვარს ვასწავლით, შესაძლებელია თუ არა მისი სწავლება ისე, რომ არ მივმართოთ პარალელურ რუსულ ენაში? პროგრამული ამოცანებიდან გამომდინარე, მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეს შეუძლებელია, რადგან სტუდენტი უნდა თარგმნიდეს თავისუფლად როგორც ქართულიდან რუსულ ენაზე, ასევე რუსულიდან ქართულზე. ამის გათვალისწინებით, მან უნდა გაარკვიოს ვინ ვისზე “მოქმედებს“ და როგორ, თუ მოქმედება თავად უბრუნდება სუბიექტურ პირს? თუ სუბიექტი “ივნება“ აგენსური დამატების მიერ? და პარალელები შეიძლება დაიძებნოს ქართულ და რუსულ მოქმედებითი გვარის ზმნებს შორის, რა სიძნელეებია გადასალახი ვნებითი და საშუალო გვარის სწავლებისას? შესაძლოა თუ არა ქართული ზმნის თარგმნა რუსულ ენაზე ქართული ზმნის გრამატიკული ბუნების შენარჩუნებით და პირიქით?

ამ კითხვებს რომ პასუხი გავცეთ, უნდა გავისივრებოდეთ, რომ რუსულენოვანი სტუდენტისათვის გვარი არის ლექსიკურ-მორფოლოგიური ან ლექსიკურ-გრამატიკული კატეგორია, რომელიც გამოხატავს ზმნაში მარკირებულ დიათეზას (ა. ა. ხოლოდოვიჩის, ი. ა. მელჩუკის ტერმინოლოგიით), ანუ სიტუაციის ძირითადი მოქმედი პირების ურთიერთ-შესატყვისობას წინადადების სახელად წვევებთან - ქვემდებარესა და პირდაპირ დამატებასთან. აქტივის ცენტრიდანულ კონსტრუქციებს უპირისპირდება პასივის ცენტრისაკენ მსწრაფი ორიენტაცია. ნომინატიურ-აკუზატიური ენებისათვის პირდაპირ გვარად მოქმედებითი გვარი ითვლება, ხოლო ერგატიულ ენებში იმავე ფუნქციას ერგატიული გვარი ასრულებს. გარდამავალი ზმნის აქტივი აღნიშნავს მოქმედება-პროცესს,

რომელიც, როგორც წესი, კონტროლირდება სუბიექტის მიერ და გადადის სამოქმედო ობიექტზე. ზოგადი ენათმეცნიერების შესავლის კურსიდან, რომელიც აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში ეკითხებათ როგორც ფილოლოგიის, ისე ისტორიისა და სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტებს, მათ იციან, რომ პასიური კონსტრუქციები ერგატიულ ენებშიც იგება.

მედიალური ზმნების გრამემები რუსულ ენაში არ არსებობს, მაგრამ სუბგრამემების შესახებ სტუდენტებს ცოდნა გააჩნიათ. თუ რომან იაკობსონის განმარტებას გავიზიარებთ, პოსტეიქს - -თი დაბოლოებული რუსული ზმნები საშუალ-უკუქცევითი გვარისაა და სტუდენტი, როცა მას ქართულ საშუალ-უკუქცევით ვესაუბრებით, ანალოგიას ეძებს რუსულ საშუალ-უკუქცევით ზმნებთან, რაც ხშირად არც არის მიზანშეწონილი.

ყველაზე “ეფექტური“ მეთოდი, რომლითაც შეიძლება ვისარგებლოთ ქართული ზმნის გვარის სწავლებისას რუსულენოვან აუდიტორიაში ეს გამორიცხვის მეთოდია. როცა მოქმედებითი გვარის ზმნებს ვასწავლით, უნდა გამოვარიცხინოთ სტუდენტს აბსოლუტური ზმნები და ორვალენტიანი ზმნებიდან ისეთები, რომლებიც -ები/ება-ზე ბოლოვდება, აგრეთვე ინვერსიული ორპირიანი ზმნები, “აქვს“, “ჰყავს“, “უნდა“ და ა. შ. აბსოლუტური ზმნები, ანუ ერთპირიანი ზმნები ძირითადად რუსულ თარგმანშიც ინარჩუნებენ თავის გრამატიკულ ბუნებას. სამვალენტიანი ანუ ორდამატებიანი ზმნები რამდენიმე გამონაკლისის გარდა რუსულ ენაზეც გადატანისას მოქმედებითი გვარისა იქნება. მაგ. “აძლევს“ (ის მას მას) (); “უკერავს“ (ის მას მას) (); და ა. შ. გარდამავალ ზმნების გამოსაცნობად ის მეთოდი, რა მეთოდსაც ქართული ენის, როგორც მშობლიური ენის შესწავლისას მიმართავენ, სრულიად გამოუსადეგარია უცხოენოვანი სტუდენტისათვის. რუსულენოვანი შემსწავლელი ვერ დაადგენს პირდაპირი ობიექტის ბრუნვაცვალებადობას ქართულში და შესაბამისად, ვერ გამოარკვევს თუ რა გვარისაა მოცემული ზმნა. ამიტომ მან უნდა გამორიცხოს ზმნები -ები/-ება დაბოლოებით და ორპირიანი ინვერსიული გარდაუვალი ზმნები. რაც ნაკლებად მივმართავთ ზმნის ფორმათა მექანიკური დამახსოვრების მეთოდს, მით უფრო გავაიოლებთ სწავლის პროცესს.

მოქმედებითი გვარის ზმნათა ერთი ნაწილი თარგმნისას რუსულ ენაზე საჭიროებს დაზუსტებას, რადგან მისი ბუნების გადმოცემა ერთსიტყვიანი ლექსებით შეუძლებელია. მაგ. ამათხოვრებს (ის მას) (); ააფრენს (ის მას) (); აკივლებს (ის მას) (); ატირებს (ის მას) (); ამუშავებს (ის მას) (); ამღერებს (ის მას) (); ამპარტავნებს

(ისმას); (); აცეკვებს (ის მას) () და ა.შ. მიუხედავად ამისა, სწორედ, ამდგვარ ზმნებთან დაკავშირებით არ ჩნდება შეკითხვა ამ ზმნების გარდამავლობის შესახებ.

გასათვალისწინებელია ერთი ნიუანსიც, რომელიც მოითხოვს კომენტარებს. ქვემდებარე ამგვარ ზმნებთან კაუზატორის როლში გვევლინება. კაუზაცია არის მიზეზი ძირითადი პროცესისა. კაუზატივს თანამედროვე რუსულ ენათმეცნიერებაში ხშირად გვარის ცალკე ჯგუფს მიაკუთვნებენ. “კაუზატივის შინაარსი ქართულად გადმოიციემა ზმნებით - აიძულებს, ავალებს, სთხოვს, საშუალებას აძლევს, შეაძლებინებს“ (არნოლდ ჩიქობავა, 1950: 059). შუალობითი კონტაქტის შინაარსის მქონე ლექსემები, მიღებული ერთპირიანი ზმნებისაგან დუმს (ის) ()-აღუმებს (ის მას) (); წუხს (ის) () - აწუხებს (ის მას) ();

(); განსხვავდება - ინ- ინფიქსით გაფორმებულ ზმნათაგან-აწერინებს (ის მას) (). ერთპირიანი ზმნებისაგან მიღებული, “გაკაუზატიურებული“ მოქმედებითი გვარის ზმნები, რუსულ ენაზე ძირითადად ისევე ითარგმნება, როგორც გრამატიკალიზირებული - ინ- ინფიქსიანი კაუზატივი. სტუდენტს ორივეს წარმოება შეუძლია. ერთპირიანი ზმნებისაგან -ა-ებ; თავსართ-ბოლოსართით, ხოლო გარდამავალ ორპირიანი და სამპირიანი ზმნებიდან -ინ ინფიქსით. ეს უკანასკნელი “ძლიერ გრამატიკალიზირებული აპლიკატივია, რომელსაც ბენეფიციანტი შემოჰყავს, ანუ ის მონაწილე, რომლის სასარგებლოდაც ხდება მოქმედება“ (, 2014: 10-11). რუსული კაუზატივის ერთ-ერთ ნაირსახეობასთან ტრანსფორმატივთან ქართულ შუალობით კონტაქტს პარალელები ნაკლებად ეძებნება - , , , , ანუ - ამ ტიპის კაუზატიური ზმნები ქართული მოქმედებითი გვარის უშუალო კონტაქტის ფორმის ზმნებით ითარგმნება - ამცირებს; ამარტივებს; ათანაბრებს, ერთმანეთს უტოლებს; არუსებს. მაშასადამე, მოქმედებითი გვარის ზმნათა სწავლებისას აუცილებელია კონტაქტის კატეგორიის შესწავლაც და მასალის იმდგვარად დალაგება, რომ ზემდგომი სირთულე თავიდან იქნას აცილებულ.

მოქმედებითი გვარის ზმნათა უღლება ფრიად შრომატევადია და რამდენიმე ეტაპად უნდა დაიყოს. უფრო მარტივია, როცა მათ ყალიბებით ვცვლით. დავიწყებთ მოქმედებითი გვარის ზმნების უღლებას -ავ; -ამ; -ებ; -ევ; -ემ; -ოფ; “თემის ნიშნებით“, ანუ ზმნური სუფიქსებით. აღვნიშნავთ, რომ ამ დაბოლოებებს ზმნები დაკარგავენ მეორე სერიაში. ერთთემიან ზმნების უღლება ყველაზე ადვილად

დასაძლევია მეორე სერიის მწკრივებში. მეტ შეკითხვებს -ი თემისნიშნისანი ზმნები ბადებს, რომლებსაც მეორე სერიაში -ა ხმოვანი აღუდგებათ ღვრის (ის მას) (); (გადა) ღვარა (მან იგი) (); (გადა) ღვაროს (); ყრის (ის მას) (); (გადა) ყარა (მან იგი) (); (გადა) ყაროს (მან იგი) (); ცვლის (ის მას) ()- (გადა) ცვალა (მან იგი) (,); ან ხმოვანმონაცვლე -ენ თემისნიშნისანი ზმნები -ადგენს (ის მას) (,); არცხვენს (ის მას) (); ითმენს (ის მას) () და ა.შ. რომლებსაც წყვეტილში ხმოვანი -ე შეეცვლებათ -ი ხმოვნით, (და)ადგინა (მან იგი), შეარცხვინა(მან იგი), მოითმინა (მან იგი) და ა.შ. მიზანშეწონილად მიგვაჩნია -ი და -ენ დაბოლოებიანი მოქმედებითი გვარის რაც შეიძლება მეტი ზმნის უღლება და სავარჯიშოების მეშვეობით მათი გააქტიურება წინადადებაში.

ზმნისწინების შერჩევა და მყოფადის წარმოება მოქმედებითი გვარის ზმნათა უღლების შესწავლის ყველაზე რთული ეტაპია. მიუხედავად იმისა, რომ ზმნისწინებს თავისი სემანტიკა გააჩნიათ, მათი, “მორგება“ ზმნასთან ყოველთვის არ ხერხდება. (ეს განსაკუთრებით ეძნელებათ სტუდენტებს მოქმედებითი გვარის ზმნებთან). ძნელია ვუპასუხოთ კითხვას თუ რატომ ითხოვს ზმნა “კლავს“ მყოფადში ზმნისწინ -მო-ს, რომელიც, გამოხატავს ორიენტაციას ჩვენკენ და მიმართულებას აქეთ (). ამიტომაც უპრიანია სამომავლოდ გერმანულ ზმნათა მსგავსად ზმნის ძირითადი ფორმები ვასწავლოთ: კლავს (); მოკლავს (); მოკლა (); მოკლას (); მოუკლავს; ([]); მოეკლა (, []); მოეკლას (). მასდარი - მოკვლა (,); მიმღეობა-მკვლელი/ მომკვლელი (,).

მოქმედებითი გვარის ზმნათა უღლება მესამე სერიაში ტექნიკურად ადვილი დასაძლევია, მაგრამ ინვერსიული ფორმების პრაქტიკული გამოყენება და მათი წინადადებაში აქტუალიზირება სტუდენტათვის სწავლების დამასრულებელ ეტაპზეც კი ინარჩუნებს განსაკუთრებულ სირთულეს. ცალკე საკითხია კავშირებითი კილოს მწკრივების რუსულ ენაზე თარგმნის საკითხი, რომელსაც თავის დროზე აკად. ა. შანიძემ მიაქცია ყურადღება. ეს არ არის მარტო მოქმედებითი გვარის ზმნების უღლებასთან დაკავშირებული პრობლემა. კავშირებითი კილოს მწკრივები რუსულ ენაზე ძნელად თუ ინარჩუნებენ წინადადებაში იმ სხვაობას, რაც ქართულ ეკვივალენტებში მოისაზრება. წერდეს ();

ქართული ვნებითი გვარის ზმნათა დიდი ნაწილი რუსულ ენაზე უკუქცევითი ზმნებით ითარგმნება და ვნებითობის სემანტიკას, რა თქმა უნდა, კარგავს. იმალება (ის) (); შენდება (ის) (); ეთანხმება (ის მას) (); ეჩქარება (მას) (); ეს ზმნა რუსულში არ არის უკუქცევითი, მაგრამ არც ვნებითი გვარისაა. მოიკლა ის (); ეს უკანასკნელი, არის ნიმუში იმისა, როცა ქართულ ვნებითი გვარის ზმნას შეესაბამება რუსული ვნებითი გვარის ზმნა. მაგ.: ქართულ სამწევრიან პასიურ კონსტრუქციას ნათესაობით ბრუნვაში დასმული აგენსური დამატებითა და -მიერ თანდებულთ გაფორმებულს, მაგ.: აბელი მოიკლა კენის მიერ (), შეესაბამება ასევე სამწევრიანი პასიური კონსტრუქცია რუსულ მოქმედებით () ბრუნვაში დასმული აგენსური დამატებით და სახელობით ბრუნვაში დასმული ქვემდებარით. ორწევრიანი კონსტრუქციები აბელი მოიკლა () ადეკვატურად ითარგმნება რუსულ ენაზეც და მათში აგენსური დამატებები გამოტოვებულია. შევადაროთ: “ვეფხისტყაოსანი” დაიწერა მეთორმეტე საუკუნეში (« »).

რუსულ ენათმეცნიერებაში ერგატიული ენების პასივს, “ანტიპასივად” მოიხსენებენ, რაც აღნიშნავს სუბიექტის “თვითკმარ” მოქმედებას ან სუბიექტის მდგომარეობას, რომელიც ასეთი მოქმედების შედეგია და რომელზეც ფოკუსირებულია ყურადღება. ერთპირიანი და ორპირიანი ფორმები ვნებითი გვარისა რუსულ ენაზე გადათარგმნისას მოითხოვს შესაბამის განმარტებას: იმალება (ის) (); ემალება (ის მას) (); ეთამაშება (ის მას) (). არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს ერთპირიან და ორპირიან ზმნათა კლასიფიკაცია. -ი პრეფიქსიანი ზმნები ერთპირიანებია და მათ მხოლოდ სუბიექტი შეეწყობათ, ხოლო -ე პრეფიქსიანი ფორმები ირიბდამატებას მოითხოვენ. სტუდენტმა იცის, რომ ირიბი დამატება ბრუნვა უცვლელია და მიცემით ბრუნვაში სვამს ირიბ დამატება-ობიექტს.

ვნებითი გვარის ზმნებს, ისევე როგორც მოქმედებითისას, ეწარმოებათ როგორც შუალობითი კონტაქტის, ისე უშუალოს ფორმები. შეადარე: აზრდევინებს ის მას შვილს(/); ის არავის ეზრდევინება (

).

აქტიური ზმნის კაუზატივს რუსულ ენაში შეესაბამება პირდაპირი დამატება, რომლის სასარგებლოდაც ხდება მოქმედება და ძირითადი ზმნის ინფინიტივი, ხოლო ვნებითი გვარის შუალობითი კონტაქტი მაინც უკუქცევით ნაცვალსახელით

და ძირითადი ზმნის ინფინიტივით აფორმებს უკუქცევით კონსტრუქციას, ანუ ვნებითობის შინაარსისაგან დაცლილია.

გუნების ვნებითის ფორმები - მემღერება (მე) ();
მეცინება (მე) (); მეცეკვება (მე) ();
მეტირება (მე) (); არ მესეირნება (

); ძირითადად რუსულ ენაზე ითარგმნება, როგორც უპირო (იმპერსონალური) პასივი. გუნების ვნებითი ძირითადად წარმოდგენილია ზმნის ობიექტური წყობის ფორმით. რუსულიდან ქართულად უპირო (იმპერსონალური) პასიური კონსტრუქციები ქართულ ენაზე ხანდახან მოქმედებითი გვარის ფორმასაც მოითხოვენ. მაგ.:

ავადმყოფს აციებს, იკრუნხნება, ლახავს (კრუნხნავს, ილახება). ასე რომ, რუსულიდან ქართულზე თარგმნისას ვნებითი გვარის ზმნას მოქმედებითი გვარის ზმნაც შეიძლება შეეფარდოს.

ქართული აღწერილობითი ვნებითის კონსტრუქციების შესწავლა მხოლოდ მას შემდეგაა შესაძლებელი, როცა მიმღობათა ათვისება დასრულდება: მაგ.: ჩვენ მიერ შემუშავებული იქნა სამოქმედო გეგმა (). აღწერილობითი ვნებითი საუკეთესოდ გადმოიცემა რუსულ ენაზე და იგი შესანიშნავად ესმით სტუდენტებს. უპრიანია, მათ შევახსენოთ, რომ ქართულ ენაში უპირატესობა ენიჭება ზმნის პირიანი ფორმით გამოხატულ მოქმედებას.

მიჩნევის ვნებითის ფორმებიც მანის რიგის ლექსემებით გადმოიცემა და რუსულ ენაზე დაზუსტებას ითხოვს: მედიდება (მე ის) (); მეცოტავება (მე ის) (

); და ა. შ. მიჩნევის ვნებითები რუსულ ენაზე აფექტური იმპერსონალური ფორმებით ითარგმნება, რომელიც იგება როგორც უპირო კონსტრუქცია, მიცემით ბრუნვაში დასმული სუბიექტით, მოდალური მნიშვნელობებით, რომლის კონტროლი სუბიექტს არ შეუძლია.

ქართული ვნებითი გვარი შესაძლებლობებსაც გამოხატავს. პოტენციალის შესატყვისები რუსულ ენაზე არ ითარგმნება ზმნის გრამატიკული ბუნების შენარჩუნებით. მაგ.: იჭმება (ის)-

, ისმევა (), ეჭმება (მას ის) (

). სამწუხაროდ, ზმნის ასეთი ფორმები თითქმის არცერთ ქართულ-რუსულ ლექსიკონში არაა შეტანილი. დალაგების ის პრინციპი, რა პრინციპითაც ზმნები შეაქვთ ლექსიკონში ყოველად მოძველებულია და გამოუსადეგარი, რაც განსაკუთრებით გვართან მიმართებაში იჩენს თავს.

ვნებითი გვარის ზმნათა უღლება და კონსტრუქციები ვნებითი გვარის ზმნა-შემასმენლით უფრო ადვილი ასათვისებელია

რუსულენოვანი სტუდენტისათვის, ვიდრე წინადადების მოდელი მოქმედებითი გვარის ზმნა-შემასმენლით, რომელშიც ქვემდებარე სამი ბრუნვითაა წარმოდგენილი, ხოლო პირდაპირი დამატება ბრუნვაცვალებადია.

ვნებითი გვარის ზმნათა უღლება მესამე სერიაში უკვე ითხოვს მიმღობის ფორმების წარმოების ცოდნას და ჩვეული თანმიმდევრობა, რაც ახლავს ქართული ენის, როგორც მშობლიურის შესწავლას, სრულიად ირღვევა, როცა ქართულს, როგორც უცხოენას ვასწავლით. მიმღობასთან ერთად აუცილებელია ზმნა - არის; ფორმათა უღლების ცოდნა მესამე სერიის მწკრივებში. ასე რომ, დიდ დაკვირვებას მოითხოვს მასალის თანმიმდევრობა და მისი მეთოდურად სწორი დალაგება (ალბათ უპრიანია მწკრივში მონაცვლე და რიცხვში მონაცვლე ზმნების ადრეულ ეტაპზე შესწავლა და განხილვა).

ვნებითი გვარის ზმნების უღლებისას მყოფადში ზმნისწინის შერჩევა ისევე როგორც მოქმედებითი გვარის ზმნებში, პრობლემურია. აქაც საჭიროა ზმნისწინის ზუსტი შესატყვისის ცოდნა, მისი დამახსოვრება. მაგ.: ემალება (ის მას) (

); დაემალება (ის მას) (). ვნებითი გვარის ზმნები წყვეტილში დაკარგავენ -ებ; სუფიქსს, ისევე როგორც მოქმედებითი გვარის ზმნათა ფორმები კარგავენ თემის ნიშანს.

საშუალო გვარის გრამემები რუსულ ენაში არ არსებობს, ხოლო ის სუბგრამემები, რომელსაც რუსულ ენაში მედიალური მნიშვნელობა გააჩნიათ დიდს ვერაფერს აძლევს სტუდენტს ქართული საშუალო გვარის ბუნების გასაგებად: (იკბინება);

(იკაწრება); (ილანძღება); (იწვება, წვავს); ისინი რუსულ ენაში მედიალურ ზმნებად ითვლებიან, ხოლო ქართულში ვნებითი გვარის ლექსემებით ითარგმნება. თუ რუსული ენიდან ამოვალთ, საშუალო გვარის ზმნათა რაობა გაუგებარი დარჩება სტუდენტებისათვის.

ხშირ შემთხვევაში ვნებითი ან საშუალო გვარის ზმნები ერთნაირად ითარგმნება რუსულ ენაზე და ესეც დამატებით დაბრკოლებას ქმნის ქართული ზმნის გვარის ბუნების გასარკვევად.

შეადარე: აგორებს (ის მას) (); გორდება (ის) (); გორავს (ის) (). ათამაშებს(ის მას) (,); თამაშდება (ის),

(); თამაშობს (ის) (). როგორც წესი, ამგვარი ფორმები არცერთ ლექსიკონში არ არის შეტანილი.

საშუალო გვარის ზმნების უღლება ერთ-ერთი საკვანძო საკითხია. ზედმეტი სირთულის თავიდან ასაცილებლად შეგვეძლო ყველა ისინი მოგვექცია გარდაუვალი ზმნების სიაში, მაგრამ საშუალ-

დამოწმებული ლიტერატურა:

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: 1950 - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტომი I. ა-ბ. თბილისი. 1950.

« »: 2014. « »

www.krugosvet.ru/enc/gumanitarnye_nauki/lingvistika/ZALOG.html

Liana Basheleishvili /Moscow, Lomonosov State University/

**To the Teaching of the Voice of Georgian Verb
Russian discourse
Summary**

Teaching Georgian as a foreign language demands new approaches, which have to be modified and methodically improved over time. In conditions of the absence of the Georgian-Russian comparative grammar, the voice of Georgian verb, which is closely related to the person and transitivity/intransitivity categories of a verb, requires systematization, creation of bilingual dictionary of a new type and a research of new parallels between Georgian and Russian languages. The correspondences of Georgian active voice in Russian lexical elements, the transit of passive and middle voice verb forms into the Russian language conserving the grammatical nature – these are only a few questions waiting for serious study and systematization. The correspondence of Georgian active voice verbs in the Russian language may be Russian reflexive verbs, the big part of the middle-active voice verbs also requires reflexive-middle verbs in Russian or can be translated with the help of active voice forms of the verbs.